

საქართველო - სომხეთი
ერთობლივი საოპერაციო პროგრამა

დროებით მიღებულია 16 მაისი, 2014

მოიცავს საჯარო კონსულტაციების შედეგებს 2014 წლის 12 ივნისის მდგომარეობით



სარჩევი

1.	შემაჯამებელი მიმოხილვა/შესავალი	2
2.	სასაზღვრო რაიონების სტრატეგიული ანალიზი	2
2.1	შესაბამისი რაიონები	2
2.2	თანამედროვე სომხურ-ქართული ურთიერთობის ანალიზი	3
2.3	სასაზღვრო რაიონების ანალიზი	3
2.4	სუსტი და ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობათა საფრთხეების (SWOT) ანალიზი	5
3.	ტერიტორიული თანამშრომლობის (TC) პროგრამის სტრატეგია	6
4.	სამოქმედო მიზნები, პრიორიტეტები და ქმედებები	7
4.1	სამოქმედო მიზანი 1 - ადგილობრივ თემთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	7
4.2	სამოქმედო მიზანი 2 - საერთო გამოწვევების დამუშავება	8
4.3	სამოქმედო მიზანი 3 - კულტურა, განათლება და სპორტი	8
5.	მიღწევების ინდიკატორები	8
6.	პროგრამის მენეჯმენტი	9
6.1	გადაწყვეტილებათა მიმღები ერთობლივი კომისია	9
6.2	მმართველი ორგანო	10
7.	პროგრამის განხორციელება	10
7.1	პროგრამების შესაბამისობა	10
7.2	პროგრამის ბენეფიციართა შესაბამისობა	11
7.3	შერჩევის, კონტრაქტირებისა და განხორციელების პროცედურები	11
7.4	დანახარჯების შესაბამისობა და მხარდაჭერის ხარისხი	13
8.	ფინანსების განაწილება	13

დანართი

დანართი 1:	შესაბამისი ფართობის რუკა	15
დანართი 2:	სტატისტიკური ინფორმაცია რაიონების მიხედვით	16
დანართი3:	პროგრამის მონიტორინგის ინდიკატორები	17
დანართი4:	პროგრამის მენეჯმენტი	19
დანართი5:	დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგები	20



1. შემაჯამებელი მიმოხილვა/შესავალი

სომხურ-ქართული ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამის რჩევით ერთობლივად მომზადდა სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიული ადმინისტრირების სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობით.

ორივე მონაწილე მხარის, როგორც საქართველოს, ასევე სომხეთის თემების მიერ ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ფლობის გაფართოვების უზრუნველსაყოფად სომეხმა და ქართველმა პარტნიორებმა ერთობლივი სამოქმედო პროგრამის შემუშავებისათვის სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბეს. სამუშაო ჯგუფი შემდეგი დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან შედგება:

სომხეთი: ტერიტორიული ადმინისტრირების სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სომხეთის თემთა ასოციაცია, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა, ადმინისტრაციულ ორგანოთა და შირაქის, ლორესა და თავუშ მარზეს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

საქართველო: საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ერევანში 2013 წლის 19 ივლისს, თბილისში კი 2014 წლის 16 მაისს შედგა. ერთობლივ საოპერაციო პროგრამაზე კონსულტაციები კი სტეფანავანში, (სომხეთი) სომხეთ-საქართველოს ტერიტორიული თანამშრომლობის რეგიონულ კონფერენციაზე გაიმართა. არსებული დოკუმენტი ამ კონსულტაციების შედეგებს ასახავს. 2014 წლის 16 მაისს პროგრამა დროებით იქნა მიღებული.

ერთობლივ საოპერაციო პროგრამაზე საჯარო კონსულტაციები 2014 წლის 21 მაისიდან 5 ივნისამდე მიმდინარეობდა. დანართი 5 მოიცავს როგორც შენიშვნების დეტალებსა და საჯარო მოსმენების შედეგად მიღებულ რეკომენდაციებს, ასევე იმასაც თუ როგორ იყვნენ ისინი განხილული ერთობლივი ოპერაციული პროგრამის ფინალურ ვერსიაში. ერთობლივი ოპერაციული პროგრამის ფინალური ვერსია 2014 წლის 20 ივნისს დილიჯანში, სომხეთში ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღებ კომისიაზე განხილეს და მიიღეს.

მიმდინარე დოკუმენტი სომხეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მდებარე რეგიონების სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების აღწერას მოიცავს. სუსტი და ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობათა საფრთხეების (SWOT) ანალიზის ცხრილში (განყოფილება 2), აღწერს ტერიტორიული თანამშრომლობის სტრატეგიასა და სამოქმედო მიზნებს (განყოფილება 3), ავლენს პრიორიტეტებსა და მიზანშეწონილ ქმედებებს (განყოფილება 4), განსაზღვრავს პროექტისათვის შესაფერის ბენეფიციარებსა და პროგრამის განხორციელების წესებს. (სექციები 5-7).

ხუთივე მოსაზღვრე რეგიონს (იხილეთ განყოფილება 2.1) შემუშავებული და მიღებული აქვს საერთაშორისო კონსულტაციების მიერ მხარდაჭერილი სპეციალური რეგიონალური განვითარების სტრატეგია, რეგიონები აანალიზებენ სტატუს კვოს და აყალიბებენ განვითარების ხედვისა და პრიორიტეტულ მიზნებს.



რეგიონალური განვითარების სტრატეგიის მიზანები კონკრეტულ მისაღებ ზომათა არეალის შესახებ თავის ბუნებით ბევრად ფართოა ვიდრე აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის მიერ არის აღწერილი. ასევე როგორც წესი, რეგიონალური განვითარების სტრატეგიაში არ ფიგურირებს საზღვრისპირა განზომილება.

2. სასაზღვრო რაიონების სტრატეგიული ანალიზი

2.1 შესაბამისი რაიონები

სომხეთ-საქართველოს ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის შესაბამისი ფართობი მოიცავს სომხეთ-საქართველოს 225 კილომეტრის სიგრძის საზღვრის გასწვრივ მდებარე შემდეგ რაიონებს/ადამინისტრაციულ ერთეულებს:

სომხეთი (მარჯვნივ)	საქართველო (მხარე)
<ul style="list-style-type: none"> • ლორე • შირაქი • თავუში 	<ul style="list-style-type: none"> • ქვემო ქართლი • სამცხე-ჯავახეთი

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა 22,076 კმ² ფართობს მოიცავს; საიდანაც 9,135 კმ² სომხეთში, 12,941 კმ² კი სომხეთში მდებარეობს. 2012 წლის მონაცემებით, აღნიშნულ ფართობზე მაცხოვრებელი მოსახლეობა 1424.8 ათასს შეადგენდა; სადადანაც 699.3 ათასი სომხეთში, 725.5 ათასი კი საქართველოში ცხოვრობდა.

მხარე	ფართობი (km ²)	ქვეყნის სრული ფართობის % (დაახლ.)	მოსახლეობა (2012, ათასი მცხოვრებელი)	ქვეყნის მთლიანი მოსახლეობა (დაახლ.)	სიმჭიდროვე (მოსახლეობა/km ²)
სომხეთი					
ლორე	3,750	12.6	282.2	8.6	75.3
შირაქი	2,681	9.0	282.3	8.6	105.3
თავუში	2,704	9.1	134.8	4.1	49.9
საქართველო					
ქვემო ქართლი	6,528	9.4	511.3	11.3	78.3
სამცხე-ჯავახეთი	6,413	9.2	214.2	4.6	33.4

2.2 თანამედროვე სომხურ-ქართული ურთიერთობის ანალიზი

ორმხრივი ურთიერთობის რეგულაციების განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტი საქართველოსა და სომხეთს შორის 2001 წელს „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ორმხრივი უსაფრთხოების“ შესახებ დადებული ხელშეკრულებაა. საქართველო-სომხეთის თანამშრომლობის სრული სამართლებრივი ჩარჩო კი 80-მდე საერთაშორისო ხელშეკრულებას, შეთანხმებას, მემორანდუმსა და სხვადასხვა პროტოკოლებისაგან მოიცავს, რომლებიც ორმხრივი თანამშრომლობის ასპექტთა ფართო წრეს მოიცავენ. სპეციფიური, დარგობრივი შეთანხმებები ვაჭრობისა და ეკონომიკის სივრცეში თავისუფალი ვაჭრობისათვის ხელსაყრელ



პირობებზე, ორმაგი დაბეგრვის თავიდან აცილებაზე, სახმელეთო და საჰაერო სატრანსპორტო კავშირზე, იურიდიულ დახმარებაზე, ინვესტიციების წახალისებასა და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზეა ორიენტირებული.

ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის ცენტრალური ასპექტი დღევანდელ დღემდე ძირითადად ენერჯეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებია. ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების გასაუმჯობესებლად სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისია ჩამოყალიბდა, რომლის თანა-თავჯდომარეებიც სომხეთისა და საქართველოს პრემიერმინისტრები არიან.

ორმხრივი შეთანხმებების ერთ-ერთი კომპენტენცია ქვეყანათა შორის საზღვრებზე საკონტროლო პუნქტების მოწყობაც არის. ამჟამად სომხეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე 6 საკონტროლო გამშვები პუნქტია - 5 საავტომობილო გზაზე (ნინოწმინდა-ბავრა; გუგუთი-გოგარანი; ახკერპი-პრივოლნოე; სადახლო-ბაგრატაშენი; ახკერპი-დილიჟანი) და 1 რკინიგზაზე (სადახლო-აირუმი). შესაბამისად სომხეთ-საქართველოს საზღვრის კვეთა როგორც ავტომობილების, ასევე ქვეითად მოსიარულეთათვის მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ საკონტროლო გამშვები პუნქტების გავლით არის ნებადართული. საკონტროლო გამშვები პუნქტების შემოვლით საზღვრის კვეთა კანონების, მათ შორის საბაჟო კანონის დარღვევად განიხილება.

2.3 სასაზღვრო რაიონების ანალიზი

ხუთივე მოსაზღვრე რეგიონს მსგავსი გეოგრაფიული პირობები აქვს ისევე როგორც ინსტიტუციონალურად გარდამავალი ეკონომიკური და სოციალური ისტორია. წინა პერიოდის ეკონომიკური კავშირები (ნარჩუნდებოდა 1990 წლამდე) დაირღვა, წარსულში გაზიარებული გამოცდილება მოძველდა, წინანდელი სოციალური (ურთიერთობების) მნიშვნელობა და ინდივიდუალური ნდობა დიდწილად დაიკარგა. 1990 წლის შემდეგ შემოსულმა ადმინისტრაციულმა და ინსტიტუციონალურმა ცვლილებებმა კი ახალი წესები დაამკვიდრეს.

გეოგრაფია და ინფრასტრუქტურა: ზემოთხსენებული სასაზღვრო რაიონების გეოგრაფიული პირობები ძირითადად მთავორიანი რელიეფით ხასიათდება, რაც დასახლების ტიპებსა და მოსახლეობის სიმჭიდროვეს განაპირობებს. ამ რეგიონებში იკვეთება სომხეთისა და საქართველოს შემაერთებული მთავარი სატრანსპორტო კომუნიკაციები (საავტომობილო და სარკინიგზო): როგორც დედაქალაქების თბილისისა და ერევნის გზა (ლორე და თავუში/ქვემო ქართლი), ასევე სომხეთსა და შავი ზღვის სანაპიროსთან დამაკავშირებელი გზები (შირაქი/სამცხე ჯავახეთი). გიუმრიში მდებარე შირაქის საერთაშორისო აეროპორტი წლიურად დაახლოებით 50,000 მგზავრს ემსახურება, ამასთან ის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთადერთი საერთაშორისო აეროპორტიც არის. მიუხედავად გზის საფარის ხარისხს შორის განსხვავებებისა, ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო ეს ადგილი სატრანსპორტო კვანძებისა და სავაჭრო საქმიანობის განვითარებისათვის კარგ პერსპექტივებს ქმნის.

დემოგრაფია და მოსახლეობა: ტერიტორიული პროგრამის არეალს ძირითადად სოფლის მოსახლეობა წარმოადგენს. თუმცა გამონაკლისები არის სომხურ მხარეზე: შირაქისა და ლორეს რაიონების მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტი ურბანულ დასახლებებში ცხოვრობს. შესაბამისად ამ რეგიონთა ადმინისტრაციული ცენტრები - გიუმრი (დაახლ. 145,000 მაცხოვრებელი) და ვანაძორი (დაახლ. 104,000 მაცხოვრებელი) სამიზნე ტერიტორიაზე მდებარე უდიდესი დასახლებული პუნქტებია. ქვეყნის (სომხეთის) მასშტაბითაც კი ისინი სიდიდით მეორე და მესამე ქალაქები არიან. სამიზნე ტერიტორიის ქართულ მხარეზე ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტი რუსთავია (დაახლ. 90,000 მაცხოვრებელი), რუსთავი ასევე სიდიდით



მეოთხე ქალაქია საქართველოში; მის ხელსაყრელ მდებარეობას საქართველოს დედაქალაქ თბილისთან სიახლოვეც განაპირობებს.

ვინაიდან ოფიციალური სტატისტიკა შიდა მიგრაციის სრულ სურათს არ ასახავს, განხილული ტერიტორიებიდან „ტვინების გადინების“ პროცესის რეალური შეფასება რთული ამოცანაა. საერთო ჯამში ყველა რაიონისათვის მოსახლეობის ზრდის სტაბილურობა აბსოლუტურ რიცხვებში ისევე როგორც საერთო ეროვნული მოსახლეობის რიცხვთან გვიჩვენებს რომ ეს რაიონები საცხოვრებლად მიმზიდველი რჩება, თუმცა ეს მხოლოდ დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელს ეხება. მცირე ბიზნესის განვითარებამ, ტურისტულმა საქმიანობამ და ქსელებმა ხელი უნდა შეუწყოს პროპორციის მცირედ ცვლილებას.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა სამიზნე ტერიტორიაზე შედარებით მრავალფეროვანია. სომხეთის მხარე დიდწილად მონოეთნიკურია: სამივე რეგიონი ძირითადად დასახლებულია სომხებით და რუსული, ბერძნული, იეზიდი თუ ქურთი უმცირესობებით. საქართველოში სურათი შედარებით განსხვავდება. ორივე რეგიონში ქართველები მოსახლეობის დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენენ; ამასთან, სამცხე ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური სომეხია (რაიონის მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი) ხოლო ქვემო ქართლისა კი აზერბაიჯანელი (დაახლოებით მოსახლეობის 45 პროცენტი). ასეთი მრავალფეროვნება ქმნის განსხვავებულ კულტურებს შორის კომუნიკაციისა და გაცვლის როგორც საჭიროებას ასევე შესაძლებლობას.

სოფლის მეურნეობა: ყველა მოსაზღვრე რაიონში მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) სოფლის მეურნეობის პროდუქცია დომინირებს გარდა ქვემო ქართლისა (სადაც სოფლის მეურნეობის სექტორების წილი მეორეა ინდუსტრიის შემდეგ და ისინი რეგიონში დამატებითი მთლიანი ღირებულების ერთ მეხუთედს ქმნიან). სოფლის მეურნეობის პროდუქციის სპეციფიკა რაიონის კლიმატური და გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარეობს. ექსპერტები და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სომხეთის საზღვრისპირა რაიონებში მოწეული პროდუქციის დიდი ნაწილი მუშავდება და იყიდება როგორც ქვეყნის შიდა, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარე ბაზრებზე. საქართველოს რაიონებში მოწეული პროდუქცია კი ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე გადის, ან ნედლი მასალის სახით გადის სხვა მიმართულებებით. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები ყველა რაიონში პატარა საფერმერო მეურნეობებია და ძირითადად ოჯახურ ბიზნესს წარმოადგენენ. ექსპერტები საზღვრის ორივე მხარეს მსგავს პრობლემებზე მიუთითებენ, რომელთაგანაც მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ, ესენია: - შიდა წარმოების სათესლე მასალის დაბალ ხარისხი, სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ნაკლებობა, საკრედიტო სისტემასთან წვდომის პრობლემატურობა, პირუტყვის ინფექციური დაავადებების გავრცელება, დატბორვისა და სარწყავი წყლის პრობლემები, უპატრონოდ მიტოვებული ნაკვეთები და ა.შ. ეს საკითხები ასახულია რეგიონული განვითარების სტრატეგიაში, თუმცა პრობლემების გადასაჭრელად შემდგომი ერთიანი მხარდაჭერა შესაძლოა დაეხმაროს რეგიონს ამ სექტორის პოტენციალის სრულად გამოყენებაში.

ინდუსტრია: ქვემო ქართლის ინდუსტრიული სექტორი რაიონის დამატებითი მთლიანი ღირებულების 41 პროცენტს შეადგენს, მაშინ როდესაც სხვა განხილულ რაიონებში ინდუსტრიული წარმოება მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს. ინდუსტრია ძირითადად ორ სექტორზეა ფოკუსირებული: კვები პროდუქტების დამუშავება და წარმოება, და მძიმე მრეწველობა - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება. რაიონში მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამუშავებითა და მრეწველობით, კვების მრეწველობა სოფლის მეურნეობასთან ერთად დამატებით ღირებულებას და საერთო საწარმოო ჯაჭვს ქმნის. სამთო მომპოვებელი და მძიმე ინდუსტრიული საქმიანობა დიდ მასშტაბებში მხოლოდ ქვემო ქართლისა და ლორეს რეგიონებში მიმდინარეობს. წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოო ლოკაციები როგორც წესი წყლისა და ჰაერის დაბინძურებას იწვევენ, რაც უარყოფითად აისახება მოსაზღვრე რაიონების ეკოლოგიაზე საზღვრის ორივე



მხარეს. ამიტომაც ინდუსტრიული საწარმოების მიერ წარმოქმნილ დაბინძურებასთან გამკლავება აუცილებელი ზომია (რუკების შედგენა და მონიტორინგი, დაბინძურებული ადგილების რეაბილიტაცია, უმოქმედო საწარმოების ექსპლუატაციიდან გამოყვანა, და ა.შ.) რომელიც ორივე ქვეყანამ უნდა გაინაწილოს.

მომსახურების სექტორი, ტურიზმის ჩათვლით: რეგიონში მომსახურების სექტორი დიდწილად განუვითარებელია და მის ეკონომიკაში რაიმე მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს. რადგანაც ოფიციალური სტატისტიკა მოხსენებს ვაჭრობის შესახებ მხოლოდ ეროვნულ დონეზე აკეთებს საზღვრისპირა რაიონების ვაჭრობის ხელშეწყობის პოტენციალი რთული დასადგენია. ორივე ქვეყნის ექსპერტების თქმით მრავლად არის ქვეყნებს შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაცვლის ფაქტები, რაც თავის მხრივ განსხვავებული პროდუქტების მოყვანითაა განპირობებული. შესაძლოა „სამარშრუტო“ ვაჭრობას საგრძნობი პოტენციალი ჰქონდეს. საზღვრისპირა რეგიონებში მცირე თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ დღეებში „ბაზრობების“ მოწყობის მიზნით შესაძლოა დადებითი ნაბიჯი აღმოჩნდეს წარსული ეკონომიკური კავშირების აღსადგენად და ვაჭრობის გასავითარებლად. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ორ ქვეყანას შორის საბაჟო წესებსა და რეგულაციებში განსხვავებას, მათ შორის საერთაშორისო ვალდებულებით მიღებულებს.

ორივე ქვეყანაში იზრდება ტურისტების ნაკადი: წინასწარი მონაცემებით, 2012 წელთან შედარებით, 2013 წელს საქართველოში ჩამოსული ტურისტების რიცხვმა 20 პროცენტზე მეტით მოიმატა, სომხეთში თითქმის 10 პროცენტით. საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ცნობით კი როგორც ლოკალური ასევე საერთაშორისო ტურისტული სააგენტოებში გაიზარდა მოთხოვნილება კომბინირებულ ტურებსა და ტრანსფერებზე თბილისსა და ერევანს შორის; ეს კი საზღვრისპირა რაიონებისათვის ახალ პერსპექტივებს ქმნის. ამ დარგში როგორც ტურისტების რაოდენობით ასევე დასასვენებელი ინფრასტრუქტურით სამცხე ჯავახეთი ლიდერობს. სომხურ მხარეზე ტრადიციულად მოთხოვნილი ტურისტული დანიშნულება თავუმის რაიონია: გასათავსებელი ადგილების რაოდენობა (1353 სასტუმრო საწოლი) ლორესა და შირაქთან შედარებით (შესაბამისად 256 და 176 სასტუმრო საწოლი) რიონში ამ სექტორის განვითარების კარგი ამსახველია. სამცხე ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონალური განვითარების სტრატეგია ამ პოტენციალს აცნობიერებს, თუმცა ამასთან აღნიშნავს მომსახურების დაბალ დონესა და ტურისტების გასათავსებელი ინფრასტრუქტურისა და სტანდარტების ნაკლებობას. გამოწვევებასთან გასამკლავებლად ერთობლივმა ძალისხმევამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ტურისტების ნაკადის ზრდასა და ეკონომიკის აღორძინებას სასაზღვრო რაიონებში.

ეკოლოგია, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის რესურსები: თითოეული საზღვრისპირა რაიონი მდიდარია როგორც ბუნებით ასევე უძველესი კულტურული ძეგლებით. მათ სიაში იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებიც არის (ახპატისა და სანაჰინის მონასტრები), ისტორიული ღირშესანიშნაობები და მუზეუმები (ვარძია, პატარა დმანისი), მრავალწლიანი ეროვნული პარკები (ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი საქართველოში და დილიჟანის ეროვნული პარკი სომხეთში) ტრანს-სასაზღვრო დაცული ტერიტორიები (არფილჰის წყალსაცავი და ჯავახეთის ეროვნული პარკი), თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია თავის კულტურული, ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ღირებულებით.

წყლისა და ჰაერის დაბინძურების ხარისხი დიდწილად წარმოების განვითარების შესაბამისია, მაგ. ქვემო ქართლი გარემოს დაბინძურებით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა საქართველოში. რეგიონალური განვითარების სტრატეგია ამტკიცებს რომ რაიონში ტყეების ბუნებრივი და ანთროპოგენური რისკ ფაქტორების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი და საგანგაშოა. საზღვრისპირა რაიონები სახიფათო



გეოლოგიური პროცესების წინაშეც დგას: მიწისძვრები, მეწყერები, ეროზია, ღვარცოფები, ნიადაგის დამლაშება. ამ გამოწვევებთან ეფექტური ბრძოლისათვის ერთობლივი ზომების გატარებაა საჭირო.

საცხოვრებელი პირობები: ორივე ქვეყნის საზღვრისპირა რაიონებში ოფიციალურად გაცხადებული უმუშევრობის დონე საგრძნობლად დაბალია საერთო ეროვნულ საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, თუმცა არსებობისათვის აუცილებელი სოფლის მეურნეობის სამუშაოებში ჩართულობა სურათს სრულად ვერ ასახავს. მუშახელზე მოთხოვნა ძირითადად დაბალ კვალიფიციურ სექტორშია კონცენტრირებული და არ ვრცელდება მაღალკვალიფიცირებულ ან განათლების მქონე ადამიანებზე. საზღვრის ორივე მხარეს ჩატარებულმა საყოფაცხოვრებო კვლევებმა ცხადყო რომ დედაქალაქებთან შედარებით შემოსავლები დაახლოებით ერთი მესამედით ნაკლებია, არსებობისათვის აუცილებელი სასოფლო სამეურნეო სამუშაოებით მიღებული შემოსავლების ჩათვლითაც კი. მართალია განსახლება და ბინადრობა საერთო ჯამში დამაკმაყოფილებელია და მოსახლეობის შემოსავლებს შეესაბამება, მაგრამ კომუნალური და კომუნიკაციური მომსახურება ხშირად არ შეესაბამება მოსახლეობის მიერ მოთხოვნილ დონეს. რეგიონალური განვითარების სტრატეგიის თანახმად ნარჩენების შეგროვება და კანალიზაციის სისტემები, სოფლის მოსახლეობის ინტერნეტთან წვდომა და უნარშეზღუდულთათვის საჭირო დაწესებულებების არარსებობა ის პრობლემური სფეროებია რომლებიც ყველა საზღვრისპირა რაიონში საჭიროებენ გადაჭრას. პირველადი ჯანდაცვა, სკოლამდელი და სასკოლო განათლება ორივე ქვეყნის საზღვრისპირა რაიონებში გამართულად ფუნქციონირებს, მაგრამ როდესაც საქმე უმაღლესი განათლების მიღებას ან სპეციალიზებულ სამკურნალო დაწესებულებებს ეხება მოსახლეობას დედაქალაქში უწევს ჩასვლა. რადგანაც საქართველოში ჯანდაცვა ძირითადად კერძო სექტორის ხელშია, გამოსავალი შეიძლება ტრანსსაზღვრო მკურნალობა იყოს. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით საზღვრის ორივე მხარეს მსგავსი პრობლემების გადაჭრა ერთობლივად შეიძლება, რაც ცალმხრივ ქმედებაზე უფრო ეფექტური იქნება. დადებითი მასშტაბური ეფექტის მაგალითისათვის ნარჩენების გადამუშავების დიდი ქარხნის მოყვანაც შეიძლება, რომელიც საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის მოთხოვნებისა და შესაძლებლობების ანალიზს მოითხოვს.

ადმინისტრაციული სტრუქტურები და თვითმმართველობა: ორ ქვეყანას შორის თვითმმართველი ერთეულების სტრუქტურა განსხვავებულია. სომხურ ადგილობრივ თემებთან შედარებით საქართველოს მუნიციპალიტეტები ზომითაც და მოსახლეობის რაოდენობითაც უფრო დიდია. შესაბამისად ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში მუნიციპალიტეტების რაოდენობა უფრო მცირეა (თითოეული რაიონი 6 თვითმმართველი ერთეულისაგან შედგება) ვიდრე ლორეში, შირაქში და თავუშში - (შესაბამისად 113, 119 და 63 თემი). ორივე ქვეყანაში ახლახანს დაიწყო შიდა დისკუსია რეგიონული ადმინისტრირებისა და მუნიციპალური რეფორმების შესახებ. ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის ხარისხსა და ფინანსურ დამოუკიდებლობაზე. საქართველომ ზომები მიიღო ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის შესაძლებლობის გასაუმჯობესებლად (რეგიონალური განვითარების სტრატეგიის შემუშავება; რეგიონალური განვითარების საბჭოების დაფუძნება და ფუნქციონირება).

2009 წლიდან საზღვრისპირა რაიონებს შორის მუნიციპალთაშორისი თანამშრომლობა ახალ ფაზაში შევიდა. საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით ევრო რეგიონის „ევროკავკასიის“ საქმიანობის შედეგად არაერთი ინიციატივა განხორციელდა სასაზღვრო რაიონებში მდებარე ქართულ და სომხურ მუნიციპალიტეტებს გაერთიანების მიზნით - სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და ეკოლოგიის სფეროებში. ქსელური მუშაობის შემდგომში ხელშეწყობამ უნდა გააუმჯობესოს თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების ხარისხი.



2.4 სუსტი და ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობათაა საფრთხეების (SWOT) ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<p>კარგი გეოგრაფიული მდებარეობა დედაქალაქებს შორის სატრანზიტოდ, სოციალურ და ეკონომიკურ ცენტრებთან სიახლოვე</p> <p>ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის უხვი რესურსები</p> <p>საცხოვრებლად მიმზიდველი ადგილმდებარეობა</p> <p>ჩამოყალიბებული კავშირები და ურთიერთობები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და თემებს შორის</p>	<p>რეგიონალური ეკონომიკის სოფლის მეურნეობის სექტორზე ზედმეტი დამოკიდებულება</p> <p>რეგიონალური ეკონომიკის დაბალკვალიფიციურ მუშახელზე ზედმეტი დამოკიდებულება</p> <p>სხვა ეკონომიკური სექტორების განუვითარებლობა (მრეწველობა, მომსახურება)</p> <p>ინფრასტრუქტურის სავალალო მდგომარეობა (მაგ. ჩამორჩენილი/მომველებული სარწყავი სისტემები)</p> <p>განუვითარებელი მცირე-საშუალო ბიზნესი ბუნებრივი რესურსების გამოფიტვა სოციალური მომსახურების სიმწირე</p>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<p>საქართველოსა და სომხეთს შორის პოზიტიური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების პროცესის გაგრძელება</p> <p>მზარდი სავაჭრო ბალანსი საქართველოსა და სომხეთის შორის, როგორც რეგიონალურ ასევე სახელმწიფო დონეზე</p> <p>რეგიონალური (კავკასიური) ტურიზმის ზრდა ახალი რეგიონალური განვითარების პროგრამები მოსაზღვრე რაიონებში ინვესტიციების მხარდასაჭერად</p> <p>ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნის შესაძლო ზრდა, ეროვნულ, რეგიონულ და მსოფლიო ბაზრებზე.</p> <p>კომუნიკაციისა და გაცვლა-გამოცვლისათვის საჭირო მულტი-კულტურული გარემო დაგეგმილი რეგიონალური და მუნიციპალური რეფორმები უკეთესი თვითმმართველობისათვის</p>	<p>სასაზღვრო რაიონებიდან დედაქალაქებისაკენ მზარდი მიგრაცია და „ტვინების გადინება“</p> <p>სომხეთის ევრაზიულ საბაჟო კავშირში შესვლის შედეგად არსებული სავაჭრო პოლიტიკური კურსის შეცვლა</p> <p>ბუნებრივი კატაკლიზმები და ადამიანის მიერ გამოწვეული საგანგებო სიტუაციები რომლებიც საფრთხეს უქმნიან სასაზღვრო რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის საარსებო წყაროს</p>



3. ტერიტორიული თანამშრომლობის (TC) პროგრამის სტრატეგია

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ზოგადი მიზანია მოსაზღვრე რაიონების ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის კონტაქტების გაძლიერება, თემებისა და სამოქალაქო საზოგადოების დახმარებით ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება საერთო სოციალური და ეკონომიკური განვითარების გამოწვევებზე.

პროგრამის სამიზნე არეალის სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ განვითარების ანალიზს მიყვავართ დასკვნამდე რომ საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრისპირა რაიონების ტერიტორიულ თანამშრომლობას სამი სპეციფიკური მიზნის მიღწევაში შეუძლიათ დახმარება, რომლებიც განუხორციელებელია ცალმხრივი ეროვნული რეგიონალური განვითარების ზომების მეშვეობით:

პირველი, ნეგატიური გარდამავალი ეფექტების მინიმიზაციის მიზანი: ერთი ქვეყნის სასაზღვრო რაიონში განხორციელებული ქმედებები შეიძლება ტვირთად დააწვეს, ან სულაც ავნოს მეორე ქვეყნის შესაბამის მოსაზღვრე რაიონს. აღნიშნული რისკები შესაძლო თავიდან აცილება ან შემცირება მხოლოდ ქვეყნებს შორის ერთობლივი ქმედებებით არის შესაძლებელი. ეს ძირითადად (მაგრამ არა მხოლოდ) მდინარეების, ჰაერის, მიწისქვეშა წყლების დაბინძურების, გაუდაბნობის, ნადირობის, პირუტყვის საძოვრების, ნარჩენების გადაყრისა და სხვა საქმიანობების შედეგად შექმნილი პრობლემებია.

ამჟამად სომხეთსა და საქართველოს შორის ამ სახის თანამშრომლობა საკმაოდ შეზღუდულია, ასევე არ არსებობს გამართული, ჩამოყალიბებული საკომუნიკაციო პლატფორმები. ამგვარად, ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამამ შესაძლოა ასეთი პლატფორმების განვითარება წახალისოს.

მეორე, პოზიტიური გარდამავალი ეფექტების მაქსიმიზაციის მიზანი: ერთი ქვეყნის სასაზღვრო რაიონში განხორციელებულმა საქმიანობამ შესაძლოა დამატებითი სარგებელი მოუტანოს მეორე ქვეყნის შესაბამის სასაზღვრო რაიონს, მაგრამ ეს მხოლოდ თანამშრომლობის, პროდუქციის ორმხრივი მიმოსვლის ხელშეწყობისა და ბაზრების, ტექნოლოგიებისა და კლიენტურის შესახებ ინფორმაციის გაზიარების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. ამ მიმართულებით რამდენიმე სფეროს გამოყოფა შეიძლება:

- ერთი რაიონის ცოდნა და/ან შესაძლებლობებთან წვდომის საშუალების მიცემა მისი მოსაზღვრე რაიონისთვის, კონკრეტულ დარგში ჩამორჩენის შემთხვევაში (მაგ. ნარჩენების გადამუშავება);
- სასაზღვრო რაიონებში თავისუფალი კავშირები მეწარმეს, გადამმუშავებელსა და მომხმარებელს შორის შეიძლება გამოყენებულ იქნას უფრო ეფექტურად ვიდრე საკუთარი ქვეყნის შიგნით არსებული მოშორებული ტერიტორიები (მაგ. სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა);
- სიმძლავრეები რომლებიც ორივე ქვეყანაში განუვითარებელია შესაძლოა თანამშრომლობის შედეგად განვითარდეს (მაგ. კულტურის ძეგლები, ტურიზმი).

ამჟამად, აღნიშნულ სფეროებში რამოდენიმე მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს. ტერიტორიულ თანამშრომლობას შეუძლია რეგიონალური ნაპრაღის ამოვსება და უფრო ფართე სპექტრის პროექტების განხორციელება.

მესამე მიზანი საზღვრებს შორის ურთიერთობების/სოციალური კავშირების პოტენციალის სრულად გამოყენებაა. განგრძობითი პიროვნული ურთიერთობები ნდობის საფუძველია ისევე როგორც ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესების საშუალება. მომავალში საზღვრისპირა რაიონებს შორის სხვადასხვა სფეროებში საქმიანობის ხელშეწყობისათვის და დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად, ასევე კულტურული, საგანმანათლებლო თუ სპორტული ღონისძიებების განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია ადამიანებს შორის ურთიერთობებისა და კონტაქტის ხელშეწყობა.



4. სამოქმედო მიზნები, პრიორიტეტები და ქმედებები

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამას სამი სამოქმედო მიზანი აქვს:

1. სასაზღვრო რაიონებში ადგილობრივ თემთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ერთობლივი ეკონომიკური და სოციალური პროექტების განვითარების ხელშეწყობა
2. ეკოლოგიის, დასაქმების, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სხვა სფეროების გამოწვევების გადაწყვეტა, რომლებიც საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის მასშტაბით საერთო ინტერესის საგანს წარმოადგენენ
3. კულტურა, განათლება და სპორტი

4.1 სამოქმედო მიზანი 1 - ადგილობრივ თემთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

ამ სამოქმედო მიზნის ფარგლებში შემდეგი ორი მიმართულებით სწრაფვა იქნება მხარდაჭერილი:

- სამიზნე რაიონებში სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური სექტორების რეგიონალური შეჯიბრებითობის გაზრდა

როგორც მეორე სექციაშია ნაჩვენები, პროგრამის სამიზნე რაიონებში სოფლის მეურნეობა ეკონომიკური და სოციალური ქსოვილისაგან შედგება. პრაქტიკულად იდენტური გეოგრაფიული პირობების გამო, სასოფლო სამეურნეო საქმიანობის კუთხით სომხური და ქართული რაიონები ერთ რეგიონად შეიძლება განვიხილოთ. შემდეგი ნაბიჯები შეიძლება ერთობლივი საქმიანი პროექტების საფუძველად იქცეს (სია არასრულია):

- ბაზრების შესახებ ინფორმაციასთან წვდომის გასაუმჯობესებლად, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მრეწველთათვის ბიზნეს საინფორმაციო მომსახურების ჩამოყალიბება და განვითარება;
 - შესაბამის სასაზღვრო რაიონებს შორის ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით ბაზრობებისა და გამოფენების რეგულარულად (სეზონურად) ორგანიზება;
 - უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის ერთობლივი განვითარებისათვის ხელშეწყობი ქსეულური და სავაჭრო ურთიერთობების წახალისება;
 - საზღვარზე პირუტყვის საზაფხულო-ზამთრის სამოვრებზე გადაადგილების ერთობლივი მენეჯმენტი;
 - სასაზღვრო რაიონებში მცხოვრები ფერმერების დასახმარებლად ერთობლივი ვეტერინარული და ფიტო სანიტარული მომსახურების განვითარება. ერთობლივი ზომების მიღება საზღვართშორისი ცხოველური დაავადებებისა და მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლისათვის;
 - სასარგებლო გამოცდილების გაცვლა, სოფლის მეურნეობასა და მომიჯნავე საწარმოო დარგებში ინოვაციურ ტექნოლოგიებში ტრენინგი;
 - სამეცნიერო მუშაობის, კვლევებისა და საადვოკატო საქმიანობის განვითარება სოფლის მეურნეობის სექტორში სტრუქტურული რეფორმების მხარდასაჭერად.
- სამიზნე რაიონებში ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების განვითარებისათვის არსებული პოტენციალის სრულად გამოყენება

როგორც სომხეთის ასევე საქართველოს სასაზღვრო რაიონები მრავალი ნაირსახეობის საინტერესო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლითა და ბუნების ღირშესანიშნაობითაა წარმოდგენილი. ერთისმხრივ არსებული რესურსები, მეორემხრივ კი საქართველოსა და სომხეთის დედაქალაქების მიმართულელებით ტურისტული ნაკადები სასაზღვრო რეგიონში ტურიზმისათვის განვითარების საფუძველია. ამ შესაძლებლობების განხორციელების შემთხვევაში, ამ სექტორს სამიზნე არეალში მნიშვნელოვანი ეკონომიკური შემადგენლის როლი შეიძლება ითამაშოს. შემდეგი ნაბიჯები შეიძლება ერთობლივი საქმიანი პროექტების საფუძველად იქცეს (სია არასრულია):

- ბიუროების ქსელების, ასოციაციების, ოპერატორების, საინფორმაციო ცენტრებისა და სასტუმროების ქსელების ჩამოყალიბება;
- ერთობლივი საზღვართშორისი ტურისტული მარშრუტების შექმნა;
- ტურისტულად საინტერესო ღირშესანიშნაობების აღდგენა როგორც შიდა ასევე საზღვართშორისი ტურისტული მიმოსვლის სტიმულირებისათვის;
- არსებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ადგილობრივი ტურ-ოპერატორების ერთობლივი ტრენინგები;
- სპორტული ღონისძიებებისათვის ერთობლივად მართული სპორტული ინფრასტრუქტურის აღორძინება და განვითარება.

4.2 სამოქმედო მიზანი 2 - საერთო გამოწვევების დამუშავება

ამ სამოქმედო მიზნის ფარგლებში შემდეგი ორი მიმართულებით სწრაფვა იქნება მხარდაჭერილი:

- სასაზღვრო რაიონების ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა

სომხეთის და საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებს აქვთ ერთნაირი ბუნებრივი გარემო, რომელიც არის უნიკალური ღირებულების მქონე. გარემოში ჩარევა საზღვრის ერთ მხარეს სავარაუდოდ იქონიებს ზეგავლენას საზღვრის მეორე მხარეს. ამიტომ ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა საჭიროებს ერთობლივ ქმედებებს. იმავე დროს, ქმედებები, რომლებიც ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად ხორციელდება, წაადგებიან სხვა საქმიანობას ისეთი პრიორიტეტული სფეროსთვის, როგორცაა ტურიზმის განვითარება და ამით ხელს შეუწყობენ რეგიონის მდგრად განვითარებას. შემდეგი ქმედებები შესაძლოა ერთობლივი პროექტების საგნები გახდნენ (სია არ არის ამომწურავი):

- წყლის რესურსების ერთობლივი მონიტორინგი და მენეჯმენტი, სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო მდინარე დებედის ჩათვლით;
- ერთობლივი მონიტორინგი იმ სამრეწველო ზონების, რომლებიც სერიოზულ ეკოლოგიურ ზიანს აყენებენ საზღვრის მიმდებარე რეგიონებს ჰაერის, წყლის, ნიადაგის თუ მიწისქვეშა წყლების დაზიანებებით;
- ტყეების, ეკოლოგიის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის არელების ერთობლივი მონიტორინგი და მენეჯმენტი, დაცული ტერიტორიების ჩათვლით სასაზღვრო რეგიონებში რათა თავიდან ავიცილოთ ტყეების შემდგომი გამეჩხერება და შევინარჩუნოთ ბიო-მრავალფეროვნება;
- ნარჩენების მოგროვების, მენეჯმენტის და გადამუშავების ერთობლივი მიდგომები;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება სასაზღვრო გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ.

4.3 სამოქმედო მიზანი 3 - კულტურა, განათლება და სპორტი

სამოქმედო მიზნებში საქმიანობებს, რომლებიც შემდეგ პრიორიტეტებზე იქნებიან მიმართული ექნებათ მხარდაჭერა:



- საზღვრის მიღმა მულტი-კულტურული დიალოგის და სახალხო დიპლომატიის ხაზით ახალგაზრდების გაცვლის ხელშეწყობა

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის სფეროს მდიდარი მულტი-კულტურული გარემო გააჩნია. იგი სახალხო დიპლომატიით ადამიანების გაცვლის შესაძლებლობებს ქმნის სოციალური კაპიტალის შესაქმნელად. ახალგაზრდულ ორგანიზაციებზე ყურადღების ფოკუსირებით საფუძველი ჩაეყრება მომავლის სასაზღვრო თანამშრომლობას. შემდეგი ქმედებები შესაძლოა ერთობლივი პროექტების საგნები გახდნენ (სია არ არის ამომწურავი):

- საქმიანობა თანამშრომლობის მიზნით ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის განათლების, კულტურის ადა სპორტის სფეროებში
- ერთობლივი კულტურული და სპორტული ფესტივალების მოწყობა
- სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ორგანიზაციებს შორის გაცვლითი თანამშრომლობა
- მულტი-კულტურული მრავალფეროვნებისა და მემკვიდრეობის შენარჩუნება/მოვლა
 - ადგილობრივი თვით-მმართველობის გაძლიერება

სოხეთისა და საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებულმა წინა ინიციატივებმა სასაზღვრო თანამშრომლობის მიზნით გვიჩვენა ადგილობრივ თემებს შორის ურთიერთ გაცვლის პოტენციალი. მომავალ ადგილობრივ მმართველობის რეფორმებს, რომლებზეც საუბრობენ ორივე ქვეყანაში - სომხეთსა და საქართველოში - წაადგებათ პრაქტიკისა და გამოცდილების გაცვლა/გაზიარება ისევე როგორც თანამშრომლობა. შემდეგი ქმედებები შესაძლოა ერთობლივი პროექტების საგნები გახდნენ (სია არ არის ამომწურავი):

- ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თანამშრომლობა მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით;
- შესაძლებლობების განვითარება მონაწილეობრივი გადაწყვეტილების მიღების და ადგილობრივ ხელისუფლებებსა და არა-სამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ხელშესაწყობად;
- გამოცდილების გაცვლა საზღვრის მიღმა ადგილებზე უკეთესი საზოგადოებრივი ადმინისტრირებისათვის.

5. მიღწევების მაჩვენებლები/ინდიკატორები

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის წარმატება შემწმდება მიონიტორინგის გზით იმის დასადგენად თუ რამდენად მისდევს და ხელს უწყობს (ENPI) რეგიონალური აღმოსავლეთის პროგრამის სტრატეგიის 2010-2013 წლების დოკუმენტის და 2010-2013 წლების ინდიკატიური პროგრამის შესრულებას. შემდეგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები იქნებიან გამოყენებული:

ასპექტი	იზომება ინდიკატორით:	საწყისი	მიზანი
სასაზღვრო რეგიონების ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის გაზრდილი სტრუქტურირებული და ინსტიტუციური კონტაქტები	მიღებული წინადადებების განაცხადების რიცხვი	0	45
	განაცხადებში ჩართული ორგანიზაციების რიცხვი	0	122
საზღვრის მიღმა განხორციელებული ერთობლივი პროექტების რიცხვი	ხელმოწერილი საგრანტო კონტრაქტების რიცხვი	0	18
	დასრულებული პროექტების რიცხვი	0	18



ადგილობრივ თემებს შორის სასაზღვრო კონტაქტების გაზრდილი ინტენსიურობა	პროექტის ფარგლებში ერთობლივი, განხორციელებული სასაზღვრო ღონისძიებების რიცხვი	n/a	54
---	--	-----	----

დანართი 3 შეიცავს ინდიკატორების მონაცემებს და შედეგს. ეს ინდიკატორები გამოყენებული იქნებიან პილოტური ტესტის სახით ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ეკონომიური და სოციალური გავლენის მონიტორინგისათვის რეგიონალურ განვითარებაზე.

6. პროგრამის მენეჯმენტი

შემდეგი სტრუქტურები იქნება გამოყენებული ერთობლივი სამოქმედო პროგრამის მენეჯმენტისათვის:

ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტი: ერთობლივი სტრუქტურა ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის სრული მფლობელობის უზრუნველსაყოფად ორივე მონაწილე ქვეყნის მიერ;

მმართველი ორგანო: იღებს მთლიან პასუხისმგებლობას პროგრამის სამოქმედო და ფინანსურ მენეჯმენტზე და განხორციელებაზე ევროკომისიის წინაშე.

6.1 ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტი

ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტი (ეგმკ)-(JDMC) შექმნილია მონაწილე ქვეყნების მიერ - სოხეთი და საქართველო - პროგრამის მფლობელობის უზრუნველსაყოფად. თითოეული ქვეყანა ასახელებს ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთ წარმომადგენლებს მიავლენენ ეგმკ-ში; ეს დანიშვნა ფუნქციონალურია და არა პერსონალური.

კომიტეტი შეიქმნება შემდეგი ორგანიზაციებისაგან:

სომხეთი	საქართველო
<p><u>ხმის უფლების მქონე წევრები:</u></p> <ol style="list-style-type: none"> 1. მინისტრის პირველი მოადგილე, ტერიტორიული ადმინისტრირების სამინისტრო 2. მინისტრის მოადგილე, ეკონომიკის სამინისტრო 3. განყოფილების უფროსი, საგარეო საქმეთა სამინისტრო 4. თავმჯდომარე, სომხეთის თემების ასოციაცია 5. კოორდინატორი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა 6. პროგრამების განვითარებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსი, ლორეს ადმინისტრაცია (მარზპეტარანი) 7. პროგრამების განვითარებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსი, შირაკის ადმინისტრაცია 	<p><u>ხმის უფლების მქონე წევრები:</u></p> <ol style="list-style-type: none"> 1. მინისტრის პირველი მოადგილე, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2. მინისტრის მოადგილე, საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირების სახელმწიფო მინისტრის კაბინეტი 3. მინისტრი მოადგილე, საგარეო საქმეთა სამინისტრო 4. მინისტრის მოადგილე, რე-ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის კაბინეტი 5. წევრი, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმა (tbc) 6. (პოზიცია tbc), ქვემო ქართლის გუბერნატორის კაბინეტი 7. (პოზიცია tbc), სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის



პროგრამების განვითარებისა და ანალიზის
დეპარტამენტის უფროსი, თავუშის ადმინისტრაცია
(მარზპეტარანი) (მარზპეტარანი)
8.

დამკვირვებლები (მრჩეველთა უფლებამოსილებით, ხმის მიცემის უფლების გარეშე)

ევროკომისია წარმოდგენილია
ევროკავშირის დელეგაციით სომხეთში
ევროკავშირის დელეგაციით საქართველოში
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტი (GIZ) GmbH მმართველი ორგანოს
უფლებამოსილებით

აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის დახმარების პროგრამის გუნდი

ეგმკ შეასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- დაადგენს თითოეული პროგრამის პრიორიტეტებს EaPTC დამხმარე პროგრამის ხელშეწყობით და დაამტკიცებს ერთობლივ სამოქმედო პროგრამას;
- გადაწყვეტილებას მიიღებს პრიორიტეტებზე პროგრამის რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებაზე;
- კონსულტაციას გაუწევს მმართველ ორგანოს პროექტების შერჩევის კრიტერიუმებზე და აპლიკანტებისთვის სახელმძღვანელოს თაობაზე;
- მმართველ ორგანოსთან კოორდინირებით შეარჩევს ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის მიერ დასაფინანსებელ პროექტებს, რომლებსაც დასჭირდებათ დასტური ევრო-კომისიისაგან;
- მონიტორინგს გაუწევს პროგრამის მიზნისკენ განვითარებას/პროგრესს იმ ანგარიშების შესწავლით, რომლებსაც მმართველი ორგანო წარუდგენს./

ეგმკ-ში გადაწყვეტილების მიღება მოხდება პრინციპით „ერთი ქვეყანა - ერთი ხმა“. დაწვრილებითი სამუშაო და გადაწყვეტილების მიღების მეთოდები დაკონკრეტებული იქნებიან ეგმკ-ს პროცედურების წესებში.

6.2 მმართველი ორგანო

მმართველი ორგანო (მო) პასუხისმგებელი იქნება ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ოპერატიული/სამოქმედო და ფინანსურ მენეჯმენტზე. იგი შეასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- მოამზადებს და გამოაცხადებს წინადადებების მიღებას;
- მიიღებს და დაარეგისტრირებს საპროექტო განაცხადებს/აპლიკაციებს;
- ორგანიზებას გაუწევს პროექტის შერჩევას;
- ხელს მოაწერს საგრანტო კონტრაქტებსა და განახორციელებს გადახდებს;
- მეთვალყურეობას გაუწევს პროექტების ოპერატიულ და ფინანსურ განხორციელებას;
- ანგარიშს წარუდგენს ევრო-კავშირის პროექტების ფინანსურ და ოპერატიულ განხორციელებაზე;

მო-ს შეუძლია ხელი მოაწეროს კონტრაქტებს გრანტის მიმღებებთან ერთად (ბენეფიციარებთან ერთად) მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საბოლოო სია დადასტურებული იქნება ეგმკ-სა და ევრო-კომისიის მიერ.



ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების შესასრულებლად, ევრო-კომისიამ დაასახელა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტი (GIZ) GmbH მმართველი ორგანოს უფლებამოსილებით. ამასთან, პროგრამის გარდა ოპერატიული და ფინანსური მენეჯმენტისა მო შეითავსებს ეგმკ-ს სამდივნოს ფუნქციებსაც.

7. პროგრამის განხორციელება

7.1 პროექტების შესაბამისობა

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებლად მხოლოდ ის პროექტებია დასაშვები, რომლებიც ნამდვილად სასაზღვრო დანიშნულებისა არიან და გულისხმობენ თუნდაც ერთი პარტნიორის ჩართულობას თითოეული მონაწილე ქვეყნიდან. როგორც წესი, პროექტის შიგნით განხორციელებული საქმიანობა უნდა ტარდებოდეს დასაშვებ საპროგრამო არეალებში. თუ გამონაკლისი დაიშვა, ეს დაკონკრეტებული უნდა იყოს აპლიკანტებისთვის გამიზნულ სახელმძღვანელოში. ის პირდაპირი შედეგები, რომლებიც პროექტების განხორციელებას უნდა მოჰყვეს გავლენას უნდა ახდენდნენ საზღვრის ორივე მხარეზე დასაშვებ საპროგრამო არეალებში.

არა-მომგებიანობის წესი შეეხება პროგრამის მიერ დაფინანსებულ პროექტებს: პროექტებს არ შეიძლება ჰქონდეთ მიზნად ან შედეგად მოგების მიღება ამ პროგრამის ჩაროებში. კომერციული საქმიანობის დახმარება სახელმწიფო დახმარების სახით არ განხორციელდება.

პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა შეზღუდული იქნება მინიმუმ, 12 და მაქსიმუმ, 24 კალენდარული თვით. ბენეფიციარებსა და მო-ს შორის გრანტის კონტრაქტის ხელმოწერის დროისთვის, მაქსიმალური ხანგრძლივობა, შეიძლება გადაიხედოს, იმგვარად რომ პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროექტები დასრულდნენ 2016 წლის 31 დეკემბრისათვის.

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამას შეუძლია მხარი დაუჭიროს (1) „რბილ“ პროექტებს ანუ რომლებიც გულისხმობენ სტრუქტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს და არ არიან კონცენტრირებულნი მშენებლობაზე ან დანადგარების მიწოდებაზე; და (2) პროექტები, რომლებიც გულისხმობენ მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურულ განვითარებას. პროგრამამ უპირატესობა უნდა მიანიჭოს „რბილ“ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია ინსტიტუციურ განვითარებასთან, ტრენინგთან, პოლიტიკის რეფორმასთან, გამოცდილების გაცვლასთან და მსგავსთან და პროექტებს, რომლებიც ახდენენ „რბილ“ ელემენტსა და ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას შორის ჯანსაღი წონასწორობის დემონსტრირებას.

7.2 პროექტის ბენეფიციარების შესაბამისობა

საზოგადოებრივი/საჯარო ორგანოები, საზოგადოებრივის ექვივალენტი ორგანოები¹, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლებები, არა-სამთავრობო და არა-მომგებიანი ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პროექტებს საზოგადოების საერთო ინტერესებისათვის დასაშვები არიან ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის დახმარებისთვის. კონკრეტულად, მონაწილე ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის მიერ განმარტებული შემდეგი იურიდიული ფორმები ჩაითვლებიან დახმარებისთვის შესაბამისად:

სომხეთი	საქართველო
<p>საზოგადოებრივი/საჯარო ორგანოები:</p> <ul style="list-style-type: none"> ტერიტორიული ადმინისტრირების ორგანოები-მრზპეტები (რეგიონის გუბერნატორები) და 	<p>საზოგადოებრივი/საჯარო ორგანოები:</p> <ul style="list-style-type: none"> ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოები: საკრებულო, გამგეობა, ქალაქის მერის კაბინეტი,



მ
ა

• ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოები - თემის საბჭოები; უზუცესთა საბჭო; და თემის მეთაური: ქალაქის მერი ურბანულ თემში, სოფლის მეთაური სოფლის თემში (როგორც განმარტებულია კანონში ადმინისტრაციული ქმედებისა და ადმინისტრაციული საქმის წარმოების საფუძვლებზე 18.02.2014, მუხლი 3(1); კანონში ადგილობრივ თვით-მმართველობაზე 07.05.2002; პრეზიდენტის განკარგულებაში N PD-728 სახელმწიფო ადმინისტრირებაზე სომხეთის მარზესებში 06.05.1997)

საჯარო ექვივალენტი ორგანოებია:

- სახელმწიფო არა-მომგებიანი ორგანიზაციები (განმარტებული კანონში არა-კომერციულ სახელმწიფო ორგანიზაციებზე 23.10.2001, მუხლი 3(1))
- არა-სამთავრობო და არა-მომგებიანი ორგანიზაციები:
 - ფონდი (განმარტებული კანონში ფონდებზე 26.12.2002, მუხლი 3.)
 - საზოგადოებრივი ორგანიზაცია (განმარტებული კანონში საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე 04.12.2001, მუხლი 3)
 - ნებისმიერი სხვა ეროვნული იურიდიული ფორმა, რომელიც თანხვედრაშია საზოგადოებრივი ორგანოს, საჯარო ექვივალენტი ორგანოს, არა-სამთავრობო და არა-მომგებიანი ორგანიზაციების დირექტივით 2004/18/EC

საჯარო ექვივალენტი ორგანოებია:

- საჯარო სამართლის იურიდიული საწარმო (სსის) (განმარტებული კანონში საჯარო სამართლის საწარმოები)
- არა-სამთავრობო და არა-მომგებიანი ორგანიზაციები:
 - არა-სამეწარმეო (არა-კომერციული) იურიდიული საწარმო (განმარტებული სამოქალაქო კოდექსში)
 - ნებისმიერი სხვა ეროვნული იურიდიული ფორმა, რომელიც თანხვედრაშია საზოგადოებრივი ორგანოს, საჯარო ექვივალენტი ორგანოს, არა-სამთავრობო და არა-მომგებიანი ორგანიზაციების დირექტივით 2004/18/EC

როგორც წესი, მხოლოდ ის ორგანიზაციები მიიღებენ ამ პროგრამით დაფინანსებას, რომლებიც მდებარეობენ შესაბამის არეალში. იგივე სახის სხვა ორგანიზაციების, რომლებიც მდებარეობენ პროგრამის არეალის მიღმა, შესაძლო მონაწილეობა პროექტებში, რომლებიც ხორციელდებიან შესაბამის არეალში, განმარტებული იქნება სახელმძღვანელოში აპლიკანტებისთვის.

იურიდიული საწარმოების მონაწილეობა პროექტებში, რომლებიც ვერ ხვდებიან ვერც ერთ ამ კატეგორიაში, მისასაღებელია მხოლოდ ასოცირებული პარტნიორების სახით. მათ მოუხდებათ თავიანთი საქმიანობის საკუთარი რესურსებიდან დაფინანსება და ვერ მიიღებენ ფინანსურ სახსრებს ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამიდან.

! უფლებამოსილმა პირებმა შემდეგი კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილონ: (ა) საერთო ინტერესებთან შესაბამისობის კონკრეტული მიზნებით იყვნენ დაფუძნებული და არ გააჩნდეთ საწარმოო ან კომერციული ინტერესი; (ბ) ჰქონდეთ იურიდიული პირის სტატუსი და (გ) ძირითადად სახელმწიფო, რეგიონალური, ადგილობრივი ხელისუფლების, ან სხვა საჯარო სამართლის სტატუსის მქონე ორგანიზაცია მთელი იყვნენ დაფინანსებული; ან ექვემდებარებოდნენ ამ სტრუქტურების მთელი ზედამხედველობას; ან გააჩნდეთ ადმინისტრაციული, მმართველი ან ზედამხედველობის საბჭო რომელთა წევრების ნახევარზე მეტი სახელმწიფო, რეგიონალური ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ არანა დაინიშნულნი, ან სხვა საჯარო სამართლის მიერ მართული უფლებამოსილი პირების მიერ. დირექტივა 2004/18/EC თარიღი 31.03.2004, OJ L 134/114 თარიღი 30.04.2004.



7.3 შერჩევა, კონტრაქტირება და განხორციელების პროცედურები

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის გასახორციელებლად საჭირო კონტრაქტირებისა და განხორციელების პროცედურები პრაქტიკულ სახელმძღვანელოში უნდა განისაზღვროს EC-ს გარე ქმედებების (PRAG) შეთავაზებების დროს. ეს პროგრამა ცალკეული განაცხადების პროცესის ბაზაზე იქნება მართული და საზღვრის ყველა მხარეს დაფარავს.

განაცხადების პაკეტი, აპლიკაციის ფორმისა და მონაწილე პირების სახელმძღვანელო დოკუმენტის ჩათვლით შემუშავებული იქნება მო-ს მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის (EaPTC) მხარდამჭერი პროგრამით. პროგრამის შეთავაზებები ღია კონკურსის პრინციპით განხორციელდება. პროგრამის მთელი ხანგრძლივობის მანძილზე მხოლოდ ერთი შეთავაზებაა გათვალისწინებული. მო განაცხადის პაკეტზე შეთავაზების ცნობას მისი JDMC-სთან და ევროპულ კომისიასთან კონსულტაციების შემდეგ გაავრცელებს.

მო EaPTC-ის მხარდამჭერ პროგრამასთან ერთად პოტენციურ აპლიკანტებს შეთავაზების შესახებ ყველა აუცილებელი ინფორმაციით უზრუნველყოფს. წამყვანმა აპლიკანტებმა საკუთარი პროექტის აპლიკაციები (ელექტრონული ვერსიის ჩათვლით) პირდაპირ მო-ს თბილისის ოფისში უნდა შემოიტანონ; პირადად, კურიერის, ან რეგისტრირებული ფოსტის მეშვეობით. აპლიკანტებისათვის საპროექტო განაცხადის შემოტანის პროცედურისათვის საჭირო დეტალები სახელმძღვანელოში იქნება განმარტებული.

პროექტების შერჩევა და განაცხადების შეფასება ორ ეტაპად ჩატარდება: 1) აპლიკანტთა **უფლებამოსილების** შეფასება, ხარჯები და საქმიანობები (ადმინისტრაციული და მონაწილეობის მიზანშეწონილობის კრიტერიუმებზე დაყრდნობით); და 2) დასაშვები განაცხადების **ხარისხის** შეფასება (შერჩევისა და დაჯილდოვების კრიტერიუმებზე დაყრდნობით). შეფასების პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი მო-ა, JDMC კი საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პროექტის შეფასების შედეგებზე, რომლებიც თავისმხრივ ევროპული კომისიის მიერ უნდა დამტკიცდნენ.

დადგენილი საბოლოო ვადისას მიღებული განაცხადების გახსნა, ადმინისტრაციული დაცვა და **შესაბამისობის** შემოწმება, მო-ს მიერ უნდა განხორციელდეს. შესაბამისობის შემოწმების დროს, მონაწილეთა იურიდიული სტატუსის დამოწმების მიზნით, მო-ს შეუძლია სახელმწიფო ხელისუფლებასა და და სომხეთსა და საქართველოში მყოფ ევროკავშირის დელეგაციებთან თანამშრომლობა ისევე როგორც იმის გარკვევა ხომ არ აქვს ადგილი სახელმწიფო ან/და ევროკავშირის ორმაგ დაფინანსებას. ყველა ზემოხსენებული შემოწმების პროცედურა მიუკერძოებლობისა და კონფიდენციალურობის პრინციპების სრული დაცვით უნდა ჩატარდეს. პროცესში ჩართული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები კი ამ პროცესში დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ. შესაბამისობის შემოწმების, ადმინისტრაციული დაცვისა და გახსნის შედეგები JDMC-ს მიერ უნდა იყოს დამტკიცებული. შემფასებლების მიერ შესრულდება განაცხადების **ხარისხის** შეფასება. შემფასებლების შეთავაზება მონაწილე ქვეყნებმა და მო-მ უნდა მოახდინონ, დასახელება კი JDMC-ის გადაწყვეტილებით მოხდეს. შემფასებლებში შეიძლება იყვნენ მო-ს თანამშრომლები, საჭიროების შემთხვევაში კი გარედან მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტები. გამოყენებული იქნება „ოთხი თვალი“-ს წესი: თითოეული განაცხადი მინიმუმ ორი შემფასებლის მიერ უნდა შეფასდეს. შემფასებლების მიერ მინიჭებულ ქულებს შორის საგრძნობი განსხვავების შემთხვევაში საჭირო იქნება მესამე შემფასებლის აზრის გაგება. თავიანთი შრომის შედეგად მათ შეფასების ანგარიში უნდა წარმოადგინონ პროექტისათვის შესაფერისი განაცხადების სიით, რომლებიც შეფასების ქულებზე იქნება დაფუძნებული.

JDMC გადახედავს შემფასებელთა დასკვნებს, რის შემდეგაც შესაძლოა დამატებითი ახსნა განმარტება მოითხოვოს. თუ JDMC -ის მიერ შემფასებელთა რჩევების მთლიანად, ან ნაწილობრივად არგაზიარების შემთხვევაში ის ვალდებულია დაასახელოს მკაფიო მიზეზები თავის პოზიციის ასახსნელად, რომლებიც საბოლოო შეფასების



ანგარიშში ჩაიწერება. კონტრაქტირებამდე მო-ს პროექტში შესწორებების შეტანის მოთხოვნა შეუძლია, მაგრამ შესწორებები შეიძლება მხოლოდ უმნიშვნელო ტექნიკურ ასპექტებს ეხებოდეს, და არავითარ შემთხვევაში არ ცვლიდეს შიგთავსს, მიზნებს, ძირითად სიმძლავრეებსა და საქმიანობებს ან პროექტის რომელიმე სხვა მახასიათებლებსა და პირობებს რომლებმაც გრანტის მიღება განაპირობეს.

საბოლოო შეფასების ანგარიში PRAG-ის სტანდარტულ დოკუმენტებზე დაყრდნობით უნდა შედგებოდეს ყოველ შესაფერის განაცხადზე მოკლე შეფასების ანგარიშით, რომელშიც შევა შემფასებელთა და JDMC-ის წევრების შეფასების ცხრილები, მინიჭებული ქულები და კომენტარები. ამას თან უნდა დაერთოს შეუსაბამო განაცხადებისა და მათი არმიღების მიზეზთა სიაც.

JDMC-ის მიერ დამტკიცებული პროექტის სელექციის შედეგები მხოლოდ მათზე ევროკომისიის მხრიდან თანხმობის შემდეგ შევა ძალაში.

მო და EaPTC-ის მხარდამჭერი პროგრამა გრანტის ბენეფიციარებს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის ინფორმაციითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფენ. პროექტის ყველა ანგარიში (შუალედური და საბოლოო ტექნიკური აღწერა, ფინანსური ანგარიშები, საჭიროების შემთხვევაში ხარჯების დამადასტურებელი ანგარიშები) და გადახდის მოთხოვნა უნდა წარედგინოს მო-ს თბილისის ოფისს. მო დაამუშავებს ანგარიშებსა და გადახდის მოთხოვნებს, და გრანტის შესაბამის ბენეფიციარებზე გადახდებს განხორციელებს. ანგარიშებისა და გადახდების პროცედურათა დეტალები განხორციელების სახელმძღვანელოში გაიწერება, რომელსაც მო EaPTC-ის მხარდამჭერ პროგრამასთან თანამშრომლობით შეიმუშავებს.

გრანტის ბენეფიციართა ანგარიშების საფუძველზე მო პერიოდულ (6 თვიან) პროგრამის განხორციელების მიმოხილვას შეიმუშავებს. ეს მიმოხილვები JDMC-ს ინფორმირებისათვის უნდა წარედგინოს.

მო ყველა საჭირო ნაბიჯს გადადგავს პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტების საქმიანობებში ევროკავშირის დაფინანსების თვალსაჩინოების უზრუნველსაყოფად. ჯდსმ-ის წევრები აქტიურად იქნებიან ჩართული პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელებაში, როგორც სამიზნე რეგიონში ისევე მის საზღვრებს გარეთ.

პროგრამის განსახორციელებელი ციკლის გრაფა იხილეთ დანართის სახით (დანართი 4).

7.4 დანახარჯების შესაბამისობა და მხარდაჭერის ხარისხი

შესაბამის დანახარჯებში არის პროექტის ბენეფიციართა მიერ პროექტის განხორციელების დროს გაწეული ფაქტიური ხარჯები, გრანტის კონტრაქტში არსებული განსაზღვრების შესაბამისად. პროექტის ბენეფიციართა და მესამე პირთა მიერ შეტანილი ნებისმიერი ფინანსური წვლილი მიუღებელად ჩაითვლება და არ იქნება განხილული შესაბამის დანახარჯებად. შესაბამისი პირდაპირი და ირიბი დანახარჯები უნდა შეესაბამებოდნენ PRAG-ის სტანდარტულ დებულებებს, გარდა იმ შემთხვევებისა სადაც ეს აპლიკანტისთვის მითითებულ სახელმძღვანელოშია გათვალისწინებული.

შერჩეული პროექტების დასაფინანსებელი გრანტები შესაბამისი დანახარჯების მაქსიმუმ 90 პროცენტს უნდა შეადგენენ და თანადაფინანსებულნი უნდა იყვნენ სხვა წყაროებით (არა ევროკავშირისა და არა ევროპის განვითარების ფონდის მიერ). გრანტების მოცულობა მინიმუმ 20,000 და მაქსიმუმ 250,000 უნდა შეადგენდეს. გრანტები პროექტის წამყვან ბენეფიციარებს რამდენიმე ტრანშად გამოეყოფათ სპეციალურ პირობებში განსაზღვრულ დებულებათა მიხედვით.



აპლიკანტთა სახელმძღვანელოებმა და გრანტის კონტრაქტმა შესაძლოა დამატებითი დეტალები დააზუსტოს დანახარჯების შესაბამისობასა და ფინანსურ დებულებებთან მიმართებაში.

8. ფინანსების განაწილება

საქართველო სომხეთს შორის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ევროკავშირის მიერ დაფინანსება „ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი“-ს 2013 საბიუჯეტო წლის რეგიონალური განაწილებიდან მოდის.

ევროკავშირის მიერ პროექტის დასაფინანსებლად ინდიკატური თანხის რაოდენობა პროგრამის სამოქმედო მიზნებისათვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის სტრატეგიით შემდეგნაირად განისაზღვრა:


სამოქმედო მიზანი 1 - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება	45 პროცენტი
სამოქმედო მიზანი 2 - საერთო გამოწვევებთან გამკლავება	25 პროცენტი
სამოქმედო მიზანი 3 - კულტურა, განათლება და სპორტი	30 პროცენტი

ინდიკატური ფინანსური გეგმა (ათასი ევრო)

	ევროკავშირის დაფინანსება	ეროვნული თანადაფინანსება (მონაწილე ქვეყნები)	სხვა დონორები	კერძო დაფინანსება (პროექტის პარტნიორები)	მთლიანი დაფინანსება
სამოქმედო მიზანი I	607.5	0	0	67.5	675.0
სამოქმედო მიზანი II	337.5	0	0	37.5	375.0
სამოქმედო მიზანი III	405.0	0	0	45.0	450.0
სულ	1,350.0	0	0	150.0	1,500.0



დანართი 1: შესაბამისი ტერიტორიის რუკა



დანართი 2: სტატისტიკური ინფორმაცია რაიონების მიხედვით

	Armenia			Georgia	
	Lori	Shirak	Tavush	Kvemo-Kartli	Samtskhe-Javakheti
მოსახლეობა (ათასი)	282.2	282.3	134.8	511.3	214.2
მოსახლეობა (მთლიანად ქვეყნის%)	8.6	8.6	4.1	11.3	4.6
სოფლის მოსახლეობა (მთლიანი რაიონის%)	58.6	40.0	60.8	61.0	68,9
წვლილი ეროვნულ მშპ-ში (%)	n/a	n/a	n/a	8.5	3.1
სოფლის მეურნეობა რეგიონულ მშპ-ში (%)	7,2	11,6	4,8	18.9	32.1
ინდუსტრია რეგიონულ მშპ-ში (%)	6,1	3,4	0,8	41.4	2.8
სასტუმრო ადგილების რაოდენობა	256	176	1,353	410	5,723
ტურისტების რაოდენობა (ათასი)	n/a	n/a	n/a	n/a	278.5
ოფიციალური უმუშევრობა (%)	18.4	19.3	11.9	9.4	n/a
დაცული ტერიტორიების რაოდენობა	n/a	n/a	n/a	2	11
გამონაბოლოკე სტაციონარული წყაროებიდან (ტონა)	39678	2985	17098	344.8	0.1
წლიური დასწრება მუზეუმებში (ათასი)	1,1	2,4	0,4	16,6	156,0

წყარო: სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული სამსახური; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო GEOSTAT, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საკუთარი კალკულაციები

² სომხურ რაიონებში ციფრებით წარმოდგენილია რეგიონის წვლილი სომხეთის რესპუბლიკის მთლიან სასოფლო სამეურნეო პროდუქციასთან მიმართებაში

³ სომხურ რაიონებში ციფრებით წარმოდგენილია რეგიონის წვლილი სომხეთის რესპუბლიკის მთლიან ინდუსტრიულ პროდუქციასთან მიმართებაში




დანართი 3: პროგრამის მონიტორინგის ინდიკატორები

სამოქმედო მიზანი	პრიორიტეტი	სიმძლავრის ინდიკატორები	შედეგის ინდიკატორები
I. ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხარდამჭერი ერთობლივი პროექტების მეშვეობით სამიზნე სასაზღვრო რაიონებში ადგილობრივი თემების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება	<p>სამიზნე ტერიტორიაზე რაიონებს შორის სოფლის მეურნეობისა და მომიჯნავე ეკონომიკურ სექტორებში კონკურენციის გაზრდა</p>	<p>საწარმოთა მხარდამჭერის აღმომჩენი პროექტების რაოდენობა რაიონში/საწარმოო პირობების გაუმჯობესებაზე გამიზნული/ტრანს სასაზღვრო ბიზნეს ქსელების ჩამოყალიბება სოფლის მეურნეობის სექტორის დამხმარე ტრანს სასაზღვრო კვლევითი ქსელების ჩამოყალიბებაზე გამიზნული პროექტების რაოდენობა</p>	<p>პროექტების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილე მეწარმეების რაოდენობა არსებული საზღვართშორისი ამხანაგობების/ინიციატივების/ბიზნეს ქსელების ადგილობრივ და რეგიონალურ აკადემიურ ინსტიტუციებს, კვლევით დაწესებულებებსა და სააზროვნო ცენტრებს შორის ახლად შექმნილი საზღვართშორისი ამხანაგობების რაოდენობა ადგილობრივი განვითარების საკითხებზე გამოცემული ერთობლივი კვლევების, შრომებისა და სტრატეგიების რაოდენობა პროექტებით ორგანიზებული სოფლის მეურნეობის სექტორის პრობლემების გადასაჭრელი ერთობლივი საზღვართშორისი ღონისძიებების/კონფერენციების/სემინარების რაოდენობა</p>
	<p>სამიზნე რაიონებში ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების პოტენციალის სრულად გამოყენება</p>	<p>ტურიზმის სფეროში არსებული პროექტების რაოდენობა</p>	<p>ახლად შემუშავებული და განვითარებული ერთობლივი ტურისტული მარშრუტების რაოდენობა ტურისტების რაოდენობა, რომლებიც პროექტების სიმძლავრეს იყენებენ დაინტერესებული მხარეების რაოდენობა რომლებიც საზღვართშორისო განათლების პროექტის ფარგლებში მოხვდნენ მომსახურების სფეროში ახალგაზრდებისათვის შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა საზღვართშორისი ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების პროექტებით ორგანიზებული ღონისძიებების/კონფერენციების/სემინარების რაოდენობა</p>
II. საერთო ეკოლოგიურ, დასაქმების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და საერთო ინტერესის ნებისმიერ სხვა გამოწვევებთან გამკლავება	<p>საზღვრისპირა ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა</p>	<p>დაცული ტერიტორიებისა და/ან ბუნებრივი რესურსების ერთობლივი მართვისათვის შექმნილი პროექტების რაოდენობა საზღვართშორისი საგანგებო სიტუაციების საკითხებზე ფოკუსირებული პროექტების რაოდენობა გარემოს დაცვის კუთხით</p>	<p>ბუნებრივი რესურსებისა და დაცული ტერიტორიების ეფექტურად მართვისათვის ახლად შექმნილი საზღვართშორისი სტრუქტურებისა და მექანიზმების რაოდენობა ინფორმაციის გაცვლისა და თავდაცვითი ზომების კოორდინაციისათვის ჩამოყალიბებული ქსელების რაოდენობა განვითარებული და/ან განხორციელებული ერთობლივი მართვის გეგმების/სტრატეგიების რაოდენობა</p>



სამოქმედო მიზანი	პრიორიტეტი	სიმძლავრის ინდიკატორები	შედეგის ინდიკატორები
		<p>საზღვართშორისი თანამშრომლობის დამყარებისათვის არსებული პროექტების რაოდენობა</p>	<p>ბუნებრივი რესურსების ზომიერი ხარჯვაზე გასათვიცნობიერებლად ჩატარებული ღონისძიებების სამიზნე აუდიტორიის რაოდენობა</p> <p>სასაზღვრო ზოლის გასწვრივ არსებულ გადაუდებელი დახმარების სამსახურებს შორის ჩამოყალიბებული ამხანაგობების რაოდენობა</p> <p>მყარი, ინსტიტუციონალიზებული საზღვართშორისი ამხანაგობების, ქსელების, ასოციაციებისა და სხვა სტრუქტურების რაოდენობა</p> <p>გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების პროექტებით ორგანიზებული საზღვართშორისი ღონისძიებების/კონფერენციების/სემინარების რაოდენობა</p>
<p>III. კულტურა, განათლება და სპორტი</p>	<p>მულტიკულტურული დიალოგისა და ახალგაზრდებს შორის პირადი კონტაქტების დამყარება საზღვრის ორივე მხარეს</p>	<p>პროექტების რაოდენობა რომლებიც მოიცავენ კულტურულ და სპორტულ საქმიანობებს საერთო საზღვრის ორივე მხრიდან წარმოდგენილი მონაწილეებით</p>	<p>სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, შეჯიბრებებში, ფესტივალებსა და კონფერენციებში მონაწილე ხალხის რაოდენობა</p> <p>მეზობელი მოსაზღვრე რაიონის ტრადიციებში, მდგომარებასა და პრობლემებში გათვითცნობიერებული ადამიანების რაოდენობა</p> <p>ორგანიზებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა</p> <p>კულტურულ ღონისძიებებში ჩართული ადამიანების რაოდენობა</p> <p>კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზებისათვის შექმნილი საინფორმაციო მასალების რაოდენობა</p>
	<p>ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება</p>	<p>საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის თანამშრომლობასა და კომუნიკაციაზე ორიენტირებული განხორციელებული პროექტების რაოდენობა</p> <p>ადგილობრივი თვითმმართველობის გასაძლიერებლად განხორციელებული პროექტების რაოდენობა</p>	<p>საზღვართშორისი საქმიანობაში ჩართული ორგანიზაციებისა და ინდივიდების რაოდენობა</p> <p>დაწყებული და განხორციელებული ინიციატივების რაოდენობა</p> <p>პროექტების ორგანიზებული ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით ჩატარებული ერთობლივი საზღვართშორისი ღონისძიებების/კონფერენციების/სემინარების რაოდენობა</p>





დანართი 5: დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგები

ქართველ და სომეხ წარმომადგენელთა მიერ ერთობლივი საოპერაციო პროგრამის დროებითი ვარიანტის მიღების შემდეგ 2014 წლის 20 მაისს დოკუმენტი საჯარო ინფორმირებისთვისა და კომენტირებისათვის EaPTC-ის მხარდაჭერის პროგრამის ვებგვერდზე გამოქვეყნდა (www.eaptc.eu). მეტიც, EaPTC-ის მხარდამჭერმა პროგრამამ ასევე ხელი შეუწყო დაინტერესებულ მხარეთა კონსულტირების პროცესს - შესაბამის რაიონებში გაიმართა შეხვედრათა სერია როგორც რეგიონალური სახელმწიფო ისევე არასამთავრობო მოღვაწეებთან. ქვევით მოყვანილია ამ ღონისძიებათა ნუსხა.

ქვეყანა	ქალაქი	თარიღი	მონაწილეთა მთლიანი რაოდენობა	მათგან წარმოადგენს		სქესი	
				სახელმწიფო დაწესებულებებს	არასამთავრობო სექტორს	ქალი	მამაკაცი
საქართველო	რუსთავი	27 მაისი, 2014	11	4	7	4	7
	მარნეული	27 მაისი, 2014	11	3	8	5	6
	ახალციხე	28 მაისი, 2014	20	2	18	14	6
	ახალქალაქი	28 მაისი, 2014	21	11	10	6	15
სომხეთი	გიუმრი	29 მაისი, 2014	21	9	12	11	10
	ვანაძორი	30 მაისი, 2014	22	9	13	10	12
	იჯევანი	30 მაისი, 2014	13	2	11	4	9
სულ		7 შეხვედრა	119	40	79	54	65

დაინტერესებულ მხარეთა საკონსულტაციო შეხვედრებზე მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაეკეთებინათ კომენტარები, მიეცათ რეკომენდაციები და გამოეხატათ თავის აზრი ერთობლივი საოპერაციო პროგრამის პროექტის შესახებ. ქვევით მოყვანილი ცხრილში შეჯამებულია მიღებული გამოხმაურება, ასევე მოყვანილია შესაბამისი პასუხები.

ლოკაცია	მიღებული გამოხმაურება	პასუხი
რუსთავი	<p>ეკო ტურიზმი თუა შესაბამისობაში? და კონკრეტულად რა შეიძლება იყოს დაფინანსებული?</p> <p>ჩვენ მასმედიას წარმოვადგენთ და ჩვენი პროექტი არცერთ პრიორიტეტს არ ერგება. როგორ შეგვიძლია მივიღოთ მონაწილეობა?</p>	<p>პრიორიტეტი „სამიზნე რაიონებში ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების განვითარების პოტენციალის ამოქმედება“ მოიცავს ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებას, ეს შესაძლოა იყოს ერთობლივი საზღვარშორისი ტურისტული მარშრუტების შექმნა; ადგილობრივი ტურისტული სერვისების პროვადერთა ერთობლივი ტრენინგი მათ მიერ შეთავაზებული სერვისების გასაუმჯობესებლად და ა.შ. შესაბამის რაიონებში ეს პრიორიტეტი შეიძლება ეკო ტურიზმის განვითარებაზე გამიზნულ საქმიანობასაც მოიცავდეს.</p> <p>პროექტი შეიძლება კონცენტრირდეს საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიაზე, ცნობიერების ამაღლებაზე, შეთანხმებულ პრიორიტეტებში ნახსენებ ნებისმიერ სფეროში მოქალაქეთა განათლებაზე; მიწათმოქმედება, ტურიზმი, საზღვართშორისი ეკოლოგიური პრობლემები, კულტურათაშორისი დიალოგი, ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხები და თვითმმართველობის</p>

		გაუმჯობესება. მეტიც, პროგრამის სამიზნე აუდიტორიას საჯარო, არაკომერციული და არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ, ამასთან ისინი აუცილებლად საზღვრის ორივე მხარეს უნდა მოიცავდნენ.
	დასრულებულია თუ არა სამ დასახულ მიზანს შორის რესურსების განაწილება	ფინანსური რესურსების სამ დასახულ მიზანს შორის განაწილება ინდიკატიურია. განაწილების ძირითადი მიზეზი იდენტიფიცირებულ პრიორიტეტებს შორის ბალანსის შენარჩუნებაა.
მარნეული	შეთავაზებული ფინანსირების რაოდენობა ყველა პარტნიორის საქმიანობას დაფარავს თუ მხოლოდ წამყვანი პარტნიორისა?	პროექტის ბიუჯეტი ყველა პარტნიორის საქმიანობას მოიცავს
	რომელ რაიონებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება?	შესაბამისი რაიონები ერთობლივ საოპერაციო პროგრამაში ჩამოთვლილი და ადამინისტრაციულ ერთეულებს მთლიანად მოიცავს. ესენია: შირაქის, ლორისა და ტავუშის მაზრები სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან და ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეები საქართველოს მხრიდან.
	შეგვიძლია თუ არა გავაგრძელოთ, ან განვაახლოთ ამჟამად არსებული ან უკვე დასრულებული პროექტები?	თუ აპლიკაციის ფორმაში მსგავსი შეკითხვა არსებობს, უნდა განმარტოთ როგორ დაიბადა პროექტის იდეა.
ახალციხე	შესაძლებელია თუ არა საირიგაციო სამუშაოების განხორციელება?	პრიორიტეტი „რეგიონალური კონკურენციის გაუმჯობესება სამიზნე რაიონებში მიწათმოქმედებისა და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სექტორებში“ კონკრეტულად მიმართულია ამ რაიონებში აგრიკულტურული სფეროს განვითარებისა და სექტორის ეფექტურობის ხელშეწყობაზე, საზღვრის მიერ გამოწვეული დამაბრკოლებელი გარემოების აღმოსაფხვრელად გადაწყვეტილების ძიებაზე. ამ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია საირიგაციო სამუშაოების მოცვა, თუკი ისინი აღმოფხვრიან საზღვრის მიზეზით შექმნილ ისეთ დაბრკოლებას რომელიც რეგიონის აგრიკულტურულ განვითარებას უშლის ხელს.
	ჯანდაცვა და მისი რეფორმა რატომ არ არის ჩამოთვლილი პრიორიტეტებს შორის?	ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები რეგიონალურ და საზღვრის ორივე მხარეს მდებარე ლოკაციებში შეიძლება მოცული იქნას პრიორიტეტში „სასაზღვრო რაიონების ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა“, იმ შემთხვევაში თუ ისინი კავშირშია ეკოლოგიურ საკითხებთან. ჯანდაცვის საკითხები შეიძლება ასევე მოცული იქნას „ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების“ პრიორიტეტშიც, რაც უნდა მოიცავდეს ხალხთა შორის წარმატებული რეფორმების პრაქტიკის თუმცა, როგორც წესი ჯანდაცვა ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, ის რეგიონის შესაძლებლობებს სცილდება.
ახალქალაქი	სპორტული ღონისძიებების ჩართვა როგორ არის შესაძლებელი?	ასეთი ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელია „საზღვრის მიღმა მულტი-კულტურული დიალოგის და სახალხო დიპლომატიის ხაზით ახალგაზრდების გაცვლის ხელშეწყობის“ პრიორიტეტში.
გიუმრი	შესაძლებელია თუ არა სამიწადმოქმედო საქმიანობის გაფართოება ისე რომ მან კვების მრეწველობაც მოიცვას?	კვების მრეწველობის სექტორთან თანამშრომლობა შესაძლებელია „სამიზნე რაიონებში სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური სექტორების რეგიონალური შეჯიბრებითობის გაზრდის“ პრიორიტეტის ფარგლებში.

	<p>რატომ არ არის განათლება გამოყოფილი ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებად?</p>	<p>როგორც წესი განათლება სექტორთშორისი საკითხია და ერთობლივი საოპერაციო პროგრამის მიერ იდენტიფიცირებული ხუთი პრიორიტეტიდან ნებისმიერი შეიძლება მოიცავდეს მას. კონკრეტულად კი ოპერატიული მიზანი 3 „განათლება, კულტურა და სპორტი“ ხაზს უსვავს ამ სფეროს მნიშვნელოვანებას და განათლებაზე მიმართულ საქმიანობაზე აკეთებს კონცენტრირებას</p>
	<p>ისტორიული მემკვიდრეობისა და მუხსიერების დაცვა რატომ არ არის დართული?</p>	<p>ასეთი თემატური საკითხები შეიძლება მოცული იქნას „სამიზნე რაიონებში ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების განვითარებისათვის არსებული პოტენციალის სრულად გამოყენების“ პრიორიტეტში.</p>
	<p>რა ვიცი რომ გადაწყვეტილების მიმღები ერთობლივი კომისიის (JDMC) წევრები საუკეთესო პროექტებს შერჩევენ? რა ზომები იქნება მიღებული ერთობლივ კომისიაში კორუფციასთან საბრძოლველად?</p>	<p>პროექტის შერჩევის პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება, სადაც ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები კომისიის წევრებთან ერთად სხვა პირებიც იღებენ მონაწილეობას. უპირველეს ყოვლისა, პროექტის აპლიკაციები გადაიხედება MA-ს მიერ კოორდინირებულ დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ. მას შემდეგ რაც გადაწყვეტილების მიმღები ერთობლივი კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას მას ევროპული კომისია გადაამოწმებს. დამოუკიდებელ ექსპერტთა, MA-სა და JDMC-ის მიერ გაკეთებული ყველა შეფასება კარგად დასაბუთებული უნდა იყოს. JDMC ორი ქვეყნის სხვადასხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ არიან წარდგენილნი (ცენტრალური ხელისუფლება, ადგილობრივი მმართველობა, სამოქალაქო საზოგადოება). JDMC-ში კი გადაწყვეტილებები კონსენსუსით მიიღწევა. მეტიც, JDMC-ის გადაწყვეტილებები, რომლებიც პროექტებს ეხება საჯაროა. ანუ არჩეული პროექტების სია და მათზე გაცემული თანხების რაოდენობა ქვეყნდება და ეს ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია.</p>
<p>ვანაპორი</p>	<p>ჯანდაცვა და მისი რეფორმა რატომ არ არის ჩამოთვლილ პრიორიტეტებს შორის?</p>	<p>იხილეთ პასუხი ზევით, ანალოგიურ კითხვაზე.</p>
	<p>სოციალური დაცვის ზომები რატომ არ არის დართული?</p>	<p>სოციალური კეთილდღეობა სექტორთშორისი საკითხია და მას შესაძლოა ყველა პრიორიტეტი მოიცავდეს</p>
<p>იჯევანი</p>	<p>კომენტარები არ გაკეთებულა</p>	

